პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 15 იანვარი № 13 (17057) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

მთავარია წლის პირველი დღემიდან-ვე უზრუნველყოთ, რომ იყოს მუშაობის გუსტი რიტმი, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი.

ჩვენი პასუხი — დამკვრელური შრომა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს აღფრთოვანებს მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმის შესასრულებლად ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

წერილში ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, დასახულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ვიწრო ადგილების დაძლევის გზები. განსაზღვრულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში პარტიისა და ხალხის მორიგი ამოცანები.

საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს მეათე ხუთწლედის პირველი ორი წელი. მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების საერთო-საკავშირო დონის მიღწევის, ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ 1976-1977 წლებში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 297 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, 13,1 პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა.

დადებითი ძვრები ხდება მშენებლობაშიც. ხუთწლედის ორ წელიწადში ძირითადი ფონდების ამოქმედება მნიშვნელოვნად გაიზარდა. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ამ პერიოდში 13,7 პროცენტით გადიდდა.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის მოთხოვნებს.

რიგ შემთხვევაში საგეგმო დავალებებს ასრულებენ და პროდუქციის მოცულობას ადიდებენ არა ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე, არამედ წარმოების ექსტენსიური გაფართოების, საწარმოო ფონდების გადიდებისა და მუშახელის დამატებითი რაოდენობის გამოყენების გზით. შრომის ნაყოფიერების ხარჯზე მიღებული სამრეწველო პროდუქციის მატებას ხვედრითმა წონამ შარშან სულ 73 პროცენტი შეადგინა, ფონდუჟუგებას შემცირების ტენდენცია აქვს.

კაპიტალური დაბანდების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენს რესპუბლიკაშიც არის.

დამაკმაყოფილებლად ვერ ითვისებენ სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოების, სახლთსაშენებელი კომბინატების საპროექტო სიმძლავრეებს.

ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მომჭირნეობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მოწყობილობის, მუშახელისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, შრომის, საგეგმო, საფინანსო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დანაკარგების მასშტაბს მოწმობს, მაგალითად, ის რომ მანჭანათსაშენებელი ქარხნების სისტემაში მომუშავე ლითონდასამუშავებელ მოწყობილობის ხვედრითი წონა სულ მხოლოდ 84 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეექვსე-მეშვიდე დანადგარი უმოქმედოდ არის. დიდია ლითონის ნარჩენები, არის შემთხვევები, როცა ძვირადღირებულ მასალებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. დიდია პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების სიმეჩხრე, რომელიც, მაგალითად, მევენახეობაში მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის მიხედვით თითქმის 22 პროცენტს აღწევს. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის იმ დებულებას, რომ „რაც უფრო მდიდარია ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ყაირათიანი უნდა იყოს იგი“.

სოციალისტური შეჯიბრების მდიდარ შესაძლებლობებს არ იყენებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის ფაუმჯობესებისათვის. აქ კვლავ იგრძნობა ფორმალიზმი, ზოგიერთ შრომითს კოლექტივში საკმაოდ აქტიურად არ ინერგება რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის საუურადღებო ინიციატივა — ვიმუშაოთ ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე.

დადგენილებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მითითებას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი იმის თაობაზე, რომ გაძლიერონ ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ამ ტენდენციებთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წლის ყველა სახალხო-სამეურნეო, სოციალური, კულტურული და იდეოლოგიური ამოცანის გადაწყვეტაში წარმატების გარანტიაა განუხრელად და ყველგან სრულდებოდეს მოთხოვნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში მოთხოვნებს.

ამ შემთხვევაში საგეგმო დავალებებს ასრულებენ და პროდუქციის მოცულობას ადიდებენ არა ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე, არამედ წარმოების ექსტენსიური გაფართოების, საწარმოო ფონდების გადიდებისა და მუშახელის დამატებითი რაოდენობის გამოყენების გზით. შრომის ნაყოფიერების ხარჯზე მიღებული სამრეწველო პროდუქციის მატებას ხვედრითმა წონამ შარშან სულ 73 პროცენტი შეადგინა, ფონდუჟუგებას შემცირების ტენდენცია აქვს.

კაპიტალური დაბანდების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენს რესპუბლიკაშიც არის.

დამაკმაყოფილებლად ვერ ითვისებენ სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოების, სახლთსაშენებელი კომბინატების საპროექტო სიმძლავრეებს.

ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მომჭირნეობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მოწყობილობის, მუშახელისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, შრომის, საგეგმო, საფინანსო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დანაკარგების მასშტაბს მოწმობს, მაგალითად, ის რომ მანჭანათსაშენებელი ქარხნების სისტემაში მომუშავე ლითონდასამუშავებელ მოწყობილობის ხვედრითი წონა სულ მხოლოდ 84 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეექვსე-მეშვიდე დანადგარი უმოქმედოდ არის. დიდია ლითონის ნარჩენები, არის შემთხვევები, როცა ძვირადღირებულ მასალებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. დიდია პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების სიმეჩხრე, რომელიც, მაგალითად, მევენახეობაში მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის მიხედვით თითქმის 22 პროცენტს აღწევს. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის იმ დებულებას, რომ „რაც უფრო მდიდარია ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ყაირათიანი უნდა იყოს იგი“.

სოციალისტური შეჯიბრების მდიდარ შესაძლებლობებს არ იყენებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის ფაუმჯობესებისათვის. აქ კვლავ იგრძნობა ფორმალიზმი, ზოგიერთ შრომითს კოლექტივში საკმაოდ აქტიურად არ ინერგება რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის საუურადღებო ინიციატივა — ვიმუშაოთ ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე.

დადგენილებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მითითებას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი იმის თაობაზე, რომ გაძლიერონ ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ამ ტენდენციებთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წლის ყველა სახალხო-სამეურნეო, სოციალური, კულტურული და იდეოლოგიური ამოცანის გადაწყვეტაში წარმატების გარანტიაა განუხრელად და ყველგან სრულდებოდეს მოთხოვნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში მოთხოვნებს.

რიგ შემთხვევაში საგეგმო დავალებებს ასრულებენ და პროდუქციის მოცულობას ადიდებენ არა ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე, არამედ წარმოების ექსტენსიური გაფართოების, საწარმოო ფონდების გადიდებისა და მუშახელის დამატებითი რაოდენობის გამოყენების გზით. შრომის ნაყოფიერების ხარჯზე მიღებული სამრეწველო პროდუქციის მატებას ხვედრითმა წონამ შარშან სულ 73 პროცენტი შეადგინა, ფონდუჟუგებას შემცირების ტენდენცია აქვს.

კაპიტალური დაბანდების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენს რესპუბლიკაშიც არის.

დამაკმაყოფილებლად ვერ ითვისებენ სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოების, სახლთსაშენებელი კომბინატების საპროექტო სიმძლავრეებს.

ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მომჭირნეობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მოწყობილობის, მუშახელისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, შრომის, საგეგმო, საფინანსო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დანაკარგების მასშტაბს მოწმობს, მაგალითად, ის რომ მანჭანათსაშენებელი ქარხნების სისტემაში მომუშავე ლითონდასამუშავებელ მოწყობილობის ხვედრითი წონა სულ მხოლოდ 84 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეექვსე-მეშვიდე დანადგარი უმოქმედოდ არის. დიდია ლითონის ნარჩენები, არის შემთხვევები, როცა ძვირადღირებულ მასალებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. დიდია პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების სიმეჩხრე, რომელიც, მაგალითად, მევენახეობაში მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის მიხედვით თითქმის 22 პროცენტს აღწევს. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის იმ დებულებას, რომ „რაც უფრო მდიდარია ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ყაირათიანი უნდა იყოს იგი“.

სოციალისტური შეჯიბრების მდიდარ შესაძლებლობებს არ იყენებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის ფაუმჯობესებისათვის. აქ კვლავ იგრძნობა ფორმალიზმი, ზოგიერთ შრომითს კოლექტივში საკმაოდ აქტიურად არ ინერგება რუს-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეტიკეთ რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, მათი ავანგარდი — კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — გადააქცევენ 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

(საქინფორმი).

მთელ საბჭოთა ადამიანებთან ერთად საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს მშრომელთა ახალი პატრიოტული, პოლიტიკური აქტივობის შესახებ მოგვითხრობენ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული წერილები.

მიზანია გამარჯვება

„ყველაფერი, რაც 1978 წლისათვის და ხუთწლედის გეგმით არის დასახული, უნდა აშენდეს ვადაზე და ხარისხოვნად!“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში, 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ეს მოწოდება ჩვენთვის საბრძოლო ლოზუნგად გადაიქცა, იგი ახალ შრომითს საგმირო საქმეებს შთაგვაგონებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებსა და მემონტაჟეებს.

ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ შარშანდელი წელი. წელს ჩვენ წინაშე უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას: კაშხალი უნდა ავიყვანოთ 170 მეტრ სიმაღლეზე და ავავსოთ წყალსაცავი გასაშვებ ნიშნულამდე, მთლიანად დავამთავროთ 15-კილომეტრიანი მიწისქვეშა სადერივაციო გვირაბის გაყვანის სამუშაოები, შევასრულოთ ჰიდრომაღლური კვანძის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ჩვენი მიზანია გამარჯვება! სიტყვას შევასრულებთ!

ნ. აკობია,
ენგურჰესის მშენებლობის მებეტონეთა ბრიგადირი.

სურათზე: თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები და მუშები ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

შენზე ფიქრით, სამშობლოვ ჩემო!

შრომითი შემართებით

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. თითეული ჩვენგანის გული სიამაყის გრძნობით არის აღსავსე ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, რომელმაც ახალი კონსტიტუციის მიღებით, ცხოვრების ყველა დარგში შესანიშნავი მიღწევებით აღნიშნა თავისი მე-60 წლისთავი.

ჩვენი კოლმეურნეობა მუდამ შეჯიბრების ავანგარდშია. დიდი მოგების წყალობით ჩვენ ავაშენეთ სკოლები და საბავშვო ბაღები, კლუბი და საავადმყოფო, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. დღეს სოფელი ერთ-ერთი ულამაზესია რაიონში.

შარშან ჩაის ფოთლის ყველაზე უხვი მოსავალი მოვიწიეთ, იგი რეკორდული იყო მეცხრამეტე საუკუნეებისათვისაც, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 6 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი — გეგმაზე თითქმის სამჯერ მეტი. წარმატება მიღწეულია წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის, ნარგავების მოვლის პროგრესული მეთოდების დანერგვისა და თავდადებული შრომის მეოხებით.

პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ დავამკვიდროთ საიუბილეო წლის შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი, ციტრუსების მოვლა-მოყვანასა და კრეფაზე დასაქმებულმა ჩვიდმეტივე კომპლექსურმა ბრიგადამ პირობა დადო, რომ თითოეულ ჰექტარზე მოიწევენ სულ ცოტა 140-150 ცენტნერ ნაყოფს — გეგმაზე 20-30 ცენტნერით მეტს.

გ. წითლიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მეცნიერთა წვლილი

საპროგრამო დოკუმენტია გუშინ გამოქვეყნებული პარტიისა და მთავრობის მიმართვა ჩვენი ქვეყნის მშრომელებისადმი, რომ უკეთ ვიმუშაოთ 1978 წელს, მთელი მეათე ხუთწლედის მანძილზე. მან ახალი ენერგია შეგვმატა.

აქტიურად ვიბრძოლოთ ეფექტიანობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ განუხრელად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ მისი ტექნიკური დონე. პროდუქციის ხარისხში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის მეცნიერების წვლილიც.

დიდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, მისი შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის დაჩქარების როლი საერთო წარმატებათა მიღწევაში.

მაგალითად, აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების ინსტიტუტების მეცნიერებმა შედეგების დანერგვით მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტმა მარტო გასულ — 1977 წელს 6 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ცხადია, არაა ნაკლებია მიღწეული შედეგები ჩვენი აკადემიის სხვა განყოფილებათა სამეცნიერო დაწესებულებების ხაზით.

ახალი 1978 წელი დამკვრელური შრომის წელია. მთელ ჩვენს შრომას გზას უნათებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები, რომელთა ხორცშესხმისათვის ბრძოლით საბჭოთა ხალხი უდიდეს წვლილს შეიტანს პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

ვ. მახალდიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-26“ — „სოიუზ-27“:

გრძელდება ფრენა პროგრამით

ფრენის მართვის ცენტრი, 14 იანვარი. (საკადესი). მეოთხე დღეა მუშაობენ კოსმონავტები იური რომანენკო, გიორგი გრეჩკო, ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ოლეგ მაკაროვი „სალუტ-6“ — „სოიუზ-26“ — „სოიუზ-27“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში.

დღეს საუზმისა და სამედიცინო კონტროლის შემდეგ ეკიპაჟი განაგრძობს „სოიუზ-26“ კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაბრუნებისათვის მომზადების ოპერაციებს. კოსმონავტებს სისტემაში მოჰყავთ პილოტირებული რეჟიმით „სალუტ-6“ სადგურის ფრენის დროს შესრულებული კვლევისა და ექსპერიმენტების მონაცემები. მუშაობენ საბორტო დოკუმენტაციაზე, „სოიუზ-26“ ხომალდის საყოფაცხოვრებო ნაკვეთურში გადააქვთ გამოყენებული მოწყობილობა.

რთული კომპლექსური კომპლექსის დინამიკურ მახასიათებელთა და მის კონსტრუქციაზე მოქმედი დატვირთვის სიდიდეთა განსაზღვრის მიზნით ნაშუადღევს დაგეგმილია მოეწყოს ტექნიკური ექსპერიმენტი „რეზონანსი“. ამ ექსპერიმენტის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერსპექტიული ორბიტული კოსმოსური სისტემების დასაპროექტებლად.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, ჯანიბეკოვი და მაკაროვი თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-6“ — „სოიუზ-26“ — „სოიუზ-27“ კომპლექსი ფრენას განაგრძობს.

ვიზიტი დამთავრდა

14 იანვარს მოსკოვიდან გაემგზავრა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი, რომელიც შეგობრულ სამუშაო ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჰ. ბუმედიენი და მისი თანმხლები ალჟირელი სახელმწიფო მოღვაწეები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკადესი).

მიფრინავს „კოსმოს-984“

1978 წლის 13 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-984“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკადესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი

ოთარ ელგუჯას ძე ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორს ო. ე. ლორთქიფანიძის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომელშიც შედიან ამხანაგები: ე. კ. შარტავა (თავმჯდომარე), ი. ნ. ორჯონიკიძე, ნ. ა. ჟვანია, ნ. მ. ლეკიშვილი, ჯ. ა. ნინუა, ა. რ. სანგელიძე, ვ. ა. გოლიაძე, ვ. გ. ანასტასიადი.

ო. ე. ლორთქიფანიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ჩვენი პასუხი — დამკვრელური შრომა!

ვიწონეგთ და ვპოვეგთ ახალ რეზერვებს

ასე ფიქრობენ თბილისელი ფეიქრები

ჩვენი კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

მე და ჩემი ბრიგადის წევრები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სულითა და გულით ვიწონებთ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ჩვენ ვუკეთებთ მის ყოველ სტრიქონს და ხელახლა ვწონით ჩვენს შესაძლებლობებს, ვსახავთ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის გეგმებს. ასეთი ზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვია სამუშაო დროის დანაკარგების, მოწყობილობის მოცდენის შემცირება, საწარმოს ტექნიკური განახლება.

დამკვრელურად დაიწყო ჩვენმა ბრიგადამ წლევანდელი წელი, იგი ყოველ ცვლაში დავალების გადამეტებით უშვებს რამდენიმე ათეულ კილოგრამ მაღალხარისხოვან ნარნს. ახლა კოზმინატის თითოეულ უბანზე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1978 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესასრულებლად. ამ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, რაც მკვეთრად აამაღლებს ნარნთსა და ქსოვილების ხარისხს. იანვრიდან დაიწყო ახალი არტიკულების საკაბე და საკოსტიუმე ქსოვილების მასობრივი წარმოება.

ვ. ჭემაშვილი,
თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ი. გაგარინის სახელობის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.
(საქინფორმი).

მცხეთის რაიონის დიღმის მერძევეობა-მებოსტნე ობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები მარცხნიდან — ქ. ფილაური, მ. ხოსიტაშვილი, თ. მე ვალიშვილი, ხ. ფირუზაშვილი, შ. კოტორაშვილი, ვ. მზარეულაშვილი და შ. კოტორაშვილი ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შინაარსს.

გ. ბუგუხიას ფოტო.

ამ პირველი დღეებიდანვე

ასე ფიქრობენ ბათუმელი მანქანათმშენებლები

გუშინ, როგორც ეს პრესის საშუალებით შეიტყვე, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მიმართეს ახალი მოწოდებით — უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, ნაკლები დანახარჯებით მიიღწიონ მაღალ შრომითს წარმატებებს.

ბათუმის მუშათა კლასს გვეამაყება, რომ ნახევარ წელზე მეტია ქალაქში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო. 1978 წლისათვის შრომითმა კოლექტივებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ბევრმა ბრიგადამ, საამქრომ, უბანმა მოსკოველთა თაოსნობის პასუხად იკისრა მეათე ხუთწლედის 3 წლის დავალება 7 ოქტომბრისათვის — კონსტიტუციის დღისათვის შეასრულოს.

ახლა მთავარია პირველი დღეებიდანვე უზრუნველვყოთ მუშაობის ზუსტი რიტმი, გამოვავლინოთ ახალი რეზერვები, რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო, სრულყოთ შრომის ორგანიზაცია, განვამტკიცოთ დისციპლინა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი.

ჩემი მშობლიური ხაზარმო სხვადასხვა დასახელების მანქანებს უშვებს. ახლა ვამზადებთ ჩაის ფაბრიკების მოწყობილობას ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკისათვის. პარტიისა და მთავრობის ამ წერილის თანახმად, ვებმები რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 110-115 პროცენტით შევასრულო, ჩემი ჩაბარებული ყველა დეტალი პირველი წარდგენისთანავე სრულყოფილი იქნება.

ვლ. დოლიძე,
ბათუმის მანქანათმაშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ახალგაზრდული მგზნებარეგით

მეათე ხუთწლედის მიმდინარე დამკვრელური წელი თბილისის ოქტომბრის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა შესანიშნავ თაოსნობით დაიწყეს. მათ გადაწყვეტეს შეფობა გაუწიონ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობას და გვირაბმშენებელთა დასახმარებლად ყოველ შაბათ-კვირას კომკავშირული შაბათობები მოაწყონ.

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა მეტად მნიშვნელოვანი და სახელმძღვანელო დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „ქვეყნის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

წერილის გამოქვეყნებისთანავე რაიკომში საგანგებოდ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე, დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები, რომ რაიონის თითოეული კომკავშირული და ახალგაზრდა საფუძვლიანად გაეცნოს მას, მოქმედების სახელმძღვანელო პროგრამად გაიხადოს იგი. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდია ჩვენი პროპაგანდისტების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების როლი. ამიტომაც ყოველ მათგანს კონკრეტული დავალება მიეცით. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. სულ ცოტა უფრო საფუძვლიანად განვიხილავთ ამ წერილს და სათანადო ღონისძიებებსაც განვახორციელებთ, რათა მისი ყოველი პუნქტი, ყოველი წინადადება რაიონის ახალგაზრდებმა სრულყოფილად შეასრულონ.

დარწმუნებული ვართ, ეს მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტი დიდად დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდებს, რომ მათ ჩვეულებრივი მგზნებარებითა და შემართებით იმრომონ, ღირსეული პირადი წვლილი შეიტანონ წლევანდელი გეგმებისა და იმ სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში, რომლებიც რაიონის მშრომელებმა იკისრეს.

რ. ლომინაძე,
საქართველოს ალკკ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

ინსპექტორებისა და ბრიგადირების კონფერენციის — ეფექტიანი ფორმა

გაიმართა საქართველოს კომკავშირის ბაკურიანის ტურბაზაზე პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა გააკეთა მოხსენება: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან“.

ავტონომიური ოლქის კომუნისტებმა, მშრომელებმა, რომლებიც პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს ასრულებენ, მეათე ხუთწლედის დამდეგიდან შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საგაგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და მიღებამ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილესათვის მზადებამ და დღესასწაულმა. ამან ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ოლქის კომუნისტებში, მშრომელებში, ხელი შეუწყო საიუბილეო წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას. მაგალითად, ავტონომიური ოლქის მრეწველობამ 1977 წლის 8 დეკემბრისათვის შეასრულა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის ხუთწლედის ორი წლის გეგმა. მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მეცხრე ხუთწლედის იმავე პერიოდთან შედარებით სამხრეთ ოსეთის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა, ოლქის სოფლის მეურნეობამ ბრიგადირების, ინსპექტორების, ბრიგადირების — ინსპექტორების ინიციატივა — ეფექტიანი ფორმა — ... გადიდდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, რაც განპირობებულია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამედიცინო დახმარების, სკოლების ქსელის, საბინაო მშენებლობის განვითარებით და სხვ.

ამასთანავე პლენუმზე გულახდილი, პრინციპული სკკ-ბასთან ყოფი იმის თაობაზე, რომ ავტონომიური ოლქის ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოს მუშაობის დონე ჯერ კიდევ საკმაებით არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე. ავტონომიური ოლქის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების შემთხვევები.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გამოვიყენოთ პროპაგანდის, აგიტაციისა და ინფორმაციის ყველა საშუალება, რათა საფუძვლიანად შევისწავლოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მასალები, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კვლავაც იმას უნდა ისახავდეს მიზნად, რომ ყოველნაირად გაიზარდოს კადრების პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისათვის, სახელმწიფო, ტექნოლოგიური, შრომის დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის, ხელს უწყობდეს იმას, რომ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლა სამხრეთ ოსეთის თითოეული მშრომელის საქმედ იქცეს.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის კომპლექსური გეგმისა და ოლქის ბიუჯეტის საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

(საქინფორმი).

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საინფორმაციო

... ბრიგადა

... ბრიგადა

... ბრიგადა

პატრიოტები

ნაზი კილასონია

თქვენდა დიდება,
თქვენდა მადლობა,
ყველა დროსა და ენაზე:
პატრიოტებო! თქვე თავმდაბლებო,
პატრიოტებო! — სცენაზე!
წლებს, გულმავიწყებს
თქვენ არ ბარდებით
ათასწლეულთა მზერაზე.

პატრიოტებო! თქვენი სანთლები,
თქვენი სანთლები! — სცენაზე!
ჰქრის ისტორია მწვავე შოლტებად
ყველა დროსა და ერაზე...
პატრიოტებო! თქვენი დროშები,
თქვენი დროშები — სცენაზე!
კვერით,
ბელტებით,
ხნულით,
ნათესით,
ხელაპყრობილნო კერაზე...
პატრიოტებო! — თქვე უმართლესნო,
თქვენ ერთადერთნი — სცენაზე!

მირბის სიცოცხლე ნელი ყანებით,
უნდა შორეთით გავდიოთ.
ვუვლით,
ვაპურებთ,
ვეთაყვანებით
მასში ყოველთვის პატრიოტს!
მიდი.
უყვავე-
ეთნე-
ენაზე. —
მაინც არაფერს გპატიობს,
დრო ადგილს უთმობს მაღალ სცენაზე
მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტს!

ვისთვის ცხოვრება სათვალთვალოა —
სურს უგალობო, ათნიო,
არა! ბრძოლებში ის არ წამოვა,
მას ვერ ვუწოდებ პატრიოტს!..
ვისთვის ცხოვრება კარნავალია,
იქ ინიღბება, მანტიობს...
არა! ის ოდენ წარმავალია
მას ვერ დავარქმევ პატრიოტს!..
ვის სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირადა,
ამა არაკით მარტივობს.
არა! ვერ ვანდობ ხელში ჩირაღდანს,
მას ვერ ვუწოდებ პატრიოტს!..
ვინ თბილ ბუნაგში მარაგს ილაგებს,
რთავს გავალაკებს,
სანთიობს,
ქარიშხლებისთვის ის ვერ ივარგებს,
მას ვერ დავარქმევ პატრიოტს!..

ვინც თავისთავში ჯდება თავიდან,
გუნდრუკს იკმევს და ათიობს,
ვინც სხვის სიმაღლეს თვალებს არიდებს,
ვერც მას დავარქმევ პატრიოტს!..
ვინ თავისეულს მანკსაც ადიდებს,
სხვისი ნაოფლით
ფანტიობს.
ის ვერ იქუხებს,
ვერ იწყალდიდებს,
ვერც მას დავარქმევ პატრიოტს!..

წვიმს...
საყვარელი წვიმის ხმაურში,
დე, ეს ერთხელაც ვათიო,
თავს ერთი კითხვა კიდევ დავუსვა:
ღირს ხარ? — გარქმევდნენ პატრიოტს?

თუ რტოებს მხოლოდ ჩემდა ვიღერებ —
მხოლოდ ჩემს ჰანგებს ვმოტივობ,
თუ აღარ მახსოვს ძმობის სიმღერა,
როგორ დამარქმევ პატრიოტს?

როს ერი ჩემი მიჩანს საჩინოდ,
მისით ვცოცხლობ და ვნათიობ,
სხვის კარგიც თუ არ წარმოვაჩინე,
როგორ მიწოდებ პატრიოტს?
თუ არ მაფრთხილებს ორმოცდაერთით
ამქუსარება...
რადიო...
თუ აღარ დამრჩა მასთან საერთო,
ნუღარ დამარქმევ პატრიოტს!
თუ ტურისტული რუკის ხავერდზე
ვხარობ — ცხოვრება ჩავტიო,
თუ ოსვენციმშიც ჭინჭებს დავეძებ —
ნუღარ მიწოდებ პატრიოტს!..
თუ ვეძებ ჩემში განსაკუთრებულს,
რაც ვარ —
უფრორე ვმატობ,
ო, ჩემო რწმენავ, — ჩემო კუნთებო,
ნუღარ მიწოდებ პატრიოტს...

თუ ჩემის ადლით გავჭრი სამართალს,
რომ უსამართლოდ გატირო,
ჩემდა მივიპყრობ ყვავილთ კალათას,
ნუღარ დამარქმევ პატრიოტს!..
ო, ჩემო რწმენავ, ჩემო სიმაგრევ,
უნდა ბოლომდე გაგდიო:
სულმდაბლობაზე თუ არ ვიმაღლებ —
მაშ, ვინ დამარქმევს პატრიოტს?
წვიმს...

გარდატეხის თვე იანვარი
მითმობს. მამშვიდებს. მპატიობს, —
ამით მრავალჯერ,
ამით მრავალით
ფრთებს გავუმრავლებთ პატრიოტს!..

თქვენი სინდისის სუფთა დაფებით
ათასწლეულთა მზერაზე:
პატრიოტებო! — თქვე თავმდაბლებო, —
სცენაზე!
მაღალ სცენაზე!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტი ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია რესპუბლიკაში. ინსტიტუტში 900 კაცი შრომობს. ისინი მუშაობენ თანამედროვე ფიზიკისა და მის მომიჯნავე მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად. ამ კოლექტივის შრომები დაბალ ტემპერატურათა ფიზიკაში, მყარ სხეულთა ფიზიკაში, პლაზმის ფიზიკაში, შრომები ატომური ბირთვის თეორიასა და გამოუენებითს ატომურ ფიზიკაში ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. ბიოფიზიკაში ფუნქციონალურმა კვლევებმა ინსტიტუტის კოლექტივი მიიყვანა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემამდე, როგორიც არის კიბოს პრობლემა.

ინსტიტუტი თავისი შრომებით ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო დაწესებულებაში, რომლებთანაც ერთობლივად მუშაობს, ფიზიკის ინსტიტუტი ერთობლივ შრომას ეწევა მსოფლიოს ცამეტი ქვეყნის ოც დაწესებულებასთან, მათ შორის საფრანგეთის, ინგლისის, აშერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, დასავლეთ გერმანიის, უნგრეთისა და სხვა სახელმწიფოების მთელ რიგ დაწესებულებებთან.

ინსტიტუტის დიდ თეორიულ და პრაქტიკულ საქმეთა შესახებ დღეს გაზეთი „კომუნისტი“ მკითხველს სთავაზობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ელეფთერ ანდრონიკაშვილის წერილს:

ეფექტიანობა საბჭოთა მეცნიერის მთავარი საზრუნავია

მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვი თვით ჩვენში, საბჭოთა მეცნიერებაშია მოცემული. საბჭოთა მეცნიერს, რომელიც თავისი სამეცნიერო მიღწევების პრაქტიკულ რეალიზაციას ესწრაფვის, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბედზე, ჩვენს ხალხზე, ჩვენს კულტურაზე, ჩვენი ნინაპრების დაცვაზე ზრუნვა ამოძრავებს.

ამ სიტყვებით ჩვენ თითქოსდა ვუპირისპირებთ ჩვენს მეცნიერებს კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერებს. ნაცვლად მეცნიერის პრიალი დაინტერესებისა, მაგალითად, ამერიკელის ან ფრანგისა, რაც სტიმულირებულია ზნირად ძალიან მნიშვნელოვანი პირადი სარგებელით, რომელიც თან სდევს მეცნიერული ძიების შედეგების მრეწველობაში დანერგვას, სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენ, როგორც წესი, საქმე გვაქვს მეცნიერის უანგარობასთან.

ავიღოთ, ბაგალითად, ჩვენი ინსტიტუტის რადიო-ფიზიკა-ტერორი ატომატიკის განყოფილების ხელმძღვანელის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვახტანგ გვახარიას მოღვაწეობა. მან სავსებით უანგაროდ შეალია სიცოცხლის საუკეთესო წლები ხელსაწყოს შექმნას, რომელიც განაუთვნილია მაღნის გამდიდრების პროდუქტებში, „კუდებსა“ და მზა პროდუქციაში მანგანუმის კონცენტრაციის ავტომატური გაზომვისათვის. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი გამუდმებით აწყდებოდა სხვადასხვა სიძნელეს: უწყებათა შორის წინააღმდეგობებს, ახალი მეთოდებისადმი ურწმენობას, რადიაქტიურობისადმი უსაფუძველო შიშს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მან გადალახა ყველა ეს სიძნელე და საკუთარი ხელით შექმნილი დანადგარი დანერგა ჭიათურის მადანგამამდიდრებელ ფაბრიკაში.

მეცნიერული წინასწარგანჭვრეტის საქმე

ეფექტიანობის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერ-ლიდერის ინტელექტთან ან სამეცნიერო დაწესებულების კოლექტიურ ინტელექტთან. უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერების, ზოგჯერ კი სხვადასხვა მეცნიერებების განვითარების მომართულებათა განჭვრეტის უნარი. აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა ვალან მამასახლისოვმა ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწყო ატომის ბირთვის კლასტერული მოდელის დამუშავება. მის თეორიას ერთხანს არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას, ვინაიდან მას უუჭ გამონაგონად თვლიდნენ. 1977 წელს კი მის მოწაფეებს, მათ შორის ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს რევაზ ჯიბუტს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

ეს მომართულება, რომელიც ჩაისახა საქართველოში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე პრაქტიკა შეიგრძნობდა მის აუცილებლობას, — დიდი სამეცნიერო წინათგრძნობის მაგალითია.

მაგრამ საქმე ინტელექტის მხოლოდ ასეთი გამოვლინება როდია. მეცნიერს იმისი უნარიც უნდა ჰქონდეს, რომ თავის, როგორც ამბობენ, ფუნდამენტური შედეგების პრიზმაში დაინახოს, თუ როგორ ვარდატყდება მისი იდეები პრაქტიკაში, იქსპერიმენტებში, საწარმოო ძალების განვითარებაში — სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში და საზოგადოდ სხვა დარგებში.

ჩვენი ინსტიტუტის არამეტალური სისტემების რადიაციული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა თეა ცეცხლაძე სწორედ ბირთვულ ქიმიაში საკუთარი ფუნდამენტური კვლევის პრიზმაში დაინახა შესაძლებლობა — შეექმნა ხელსაწყო, რომელმაც შემდგომში აქტივაციური დეტექტორის სახელწოდება მიიღო, მისმა სტუდენტმა, აწ განსვენებულმა მიხეილ კოლომიეიცევმა ამხანაგებთან ერთად განვითარა ეს მეთოდი მრავალი მიმართულებით. ამ მეთოდის საფუძველზე შეიქმნა არა მარტო ერთი ხელსაწყო, არამედ ხელსაწყოთა სერია, რომლებიც ათობით საბჭოთა დაწესებულებას სჭირდება.

სავსებით განყენებული ინტერესის მქონე ამოცანაში — დეზოქსირიბონუკლეინის ნაყავის (დნმ) ორმაგი სპირალის დასაშლელად საჭირო ენერგიის გაზომვა, რომელიც შემდგომში გადაწყვეტეს ასპირანტებმა, ამეამად მეცნიერებათა კანდიდატებმა და დოქტორებმა გიორგი მრეველიშვილმა, ჯამლეტ მონასელიძემ და პეტრე პრიგალოვმა, იმთავითვე შეინიშნებოდა ახლად ჩასახული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა ნორმალურ და „კიბოიან“ მოლეკულებს შორის ფიზიკური განსხვავების დასადგენად. მაშინ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც მეთოდი, არც, მით უმეტეს, ხელსაწყო, რომელმაც შემდგომში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილი ასეთი ტიპის ხელსაწყოები აინტერესებთ საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთის მეცნიერებს, რომლებიც ჩამოდიან თბილისში ქართველ ფიზიკოსებთან ერთობლივი სამუშაოების შესასრულებლად. მე უკვე აღარაფერს ვამბობ ისეთი საპჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლებზე, როგორიც არის ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალმოლეკულური შენაერთების ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტი და სხვ.

ფუნდამენტური მეცნიერების როლი

არც თეორიაა გამიჯნული პრაქტიკული ამოცანებისაგან. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ლევან ბუიშვილისა და ექსპერიმენტატორების ერთობლივი კვლევის საფუძველზე დამუშავდა წყლის ყოფაქცევის „მოდელი“ ნორმალური და „კიბოიანი“ ობიექტებისათვის არა მარტო ქსოვილებსა და უჯრედებში, არამედ მოლეკულურ და შიგამოლეკულურ დონეზე. და მერე ვინ გააკეთა ყოველივე ეს? — თეორეტიკოსმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ლევან ბუიშვილმა, რომელსაც არასდროს არ აუღია ხელში არაფერი ფანჩრისა და კალმისტრის გარდა.

ინსტიტუტში აღიზარდნენ მეცნიერები, რომლებსაც კარგად იცნობენ მრავალ ქვეყანაში. უფრო მეტიც, ამ მეცნიერებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს და ახლაც ახდენენ ფიზიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე საერთაშორისო მასშტაბით. ესენი არიან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ხუციშვილი, ლენინური პრემიის ლაურეატი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ როინიშვილი, პროფესორი ნოდარ ცინცაძე, მეცნიერებათა დოქტორები ბორგა ხარაძე, ჯელილ წაქაძე, ნინო როინიშვილი, ოლეგ ყანჩელი. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ ჩვენგან ადრე წასული, ლენინური პრემიის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჩიქოვანი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი მარკ ბიბილაშვილი.

აი უკვე 30 წელზე მეტია ქართველი ფიზიკოსების შრომები დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში, რომლებსაც ჯერ კიდევ 1952 წელს მიენიჭათ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, იხსენიება მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში. შეუძლებელია რომელმე ავტორმა დაწეროს წიგნი მაგნიტურ-რეზონანსულ მოვლენებზე, პლაზმის ფიზიკაში, კოსმოსური სხივების ფიზიკაში, მაღალი ენერგიების ფიზიკაში და არ ახსენოს გივი ხუციშვილი, ნოდარ ცინცაძე, გიორგი ჩიქოვანი და სხვები. მთელ მსოფლიოში კარგად არის ცნობილი მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში მომუშავე მეცნიერთათვის ყანჩელ-მიულერის თეორემა.

უახლოეს ხანში „პერგამონ პრესის“ ცნობილი გამომცემლობა გამოუშვებს ჯუმბერ ლომინაძის წიგნს ბაზმის ფიზიკის საკითხებზე. უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ბიოფიზიკის განვითარებაზე მრავალ ქვეყანაში ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილმა მასკანირებელმა მიკროკალორიმეტრიულმა მეთოდმა.

ამ მეცნიერებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ წარმოიშვა და განვითარდა ქართული ფიზიკა. სწორედ ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის ფუნდამენტურ დარგებში შესრულებული მათი შრომების საფუძველზე, ექსპერიმენტული შედეგების განხილვაში მათი მონაწილეობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ის გამოყენებითი გამოკვლევები, რომლებითაც ფიზიკის ინსტიტუტს სრული უფლება აქვს იამაყოს.

ვეძებოთ ახალი ორგანიზაციული ფორმები

გამოუყენებითი ხასიათის სამუშაოები წარმოებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ეფიმ ნასყიდაშვილის განყოფილებაშიც. ეს განყოფილება ემსახურება ახალი ტექნიკის რამდენიმე დარგს და ჭიდერო კავშირი აქვს საკავშირო სამინისტროებთან. სწორედ ამ განყოფილებაში მიღებულმა ფუნდამენტურმა შედეგებმა მიანიჭა ფიზიკის ინსტიტუტს ის წამყვანი როლი, რომელსაც იგი ასრულებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.

ბაგრამ ინსტიტუტს შეეძლო ეამაყა ბევრი სხვა პრაქტიკული შედეგითაც, მათი უშუალოდ მრეწველობაში დანერგვა ისეთი რთული რომ არ იყოს. ამიტომ არის, რომ ინსტიტუტი ეძებს სამრეწველო სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე სოფლის მეურნეობასა და მედიცინასთან დაკავშირებულ დაწესებულებებთან კონტაქტის ახალ ორგანიზაციულ ფორმებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინსტიტუტში შექმნილია აქტივაციური დეტექტორები და დოზიმეტრიული სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დაკვედრებების ბევრი ლაბორატორიისათვის, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების კომიტეტისათვის, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსათვის, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსათვის და სხვ. ეს დეტექტორები და დოზიმეტრები საჭიროა მედიცინისათვის, ბიოლოგიისათვის, კრიმინალისტიკისათვის და მრავალი სხვა დისციპლინისათვის.

ამ დარგში ინსტიტუტის მიღწევებით დაინტერესდა ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტო

ამჟამად მე და ჩემი მოადგილე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ ქარუმიძე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტთა ზომათა და საზომი ხელსაწყოების სახელმწიფო კომიტეტთან ამ ხელსაწყოების შემუშავებისა და დამზადებისათვის ინსტიტუტთან საუწყებო ლაბორატორიის შექმნის თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგ დავიწყეთ ქართული ნავთობის ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზი და ჯაბორეიდის მიერ განვლილი გრუნტის ნმუშების გამა-სპექტროსკოპიული შესწავლა: მოსალოდნელია, რომ ეს მოგვცემს მნიშვნელოვან და ახალ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ნავთობის ძიების პროცესში. ჩვენ შევთავაზეთ „საქნავთობგეოფიზიკის“ ტრესტს შექმნას ჩვენს ინსტიტუტში ბირთვულ-ფიზიკური მეთოდების საუწყებო ლაბორატორია, რომელიც იმუშავებს ტრესტის ოქმატიკაზე ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ლიგური მოსულიშვილის ხელმძღვანელობით.

ლიგური მოსულიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ ნეიტრონულ-აქტივაციურ ანალიზზეა დაფუძნებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისხლის დაგახსმის ინსტიტუტსა და რესპუბლიკურ ონკოლოგიურ ცენტრთან ერთად ჩვენი ერთობლივი კვლევა კიბოსა და ლეიკოზის პრობლემებზე. მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები ახალი დიაგნოსტიკური მეთოდების შემუშავების თვალსაზრისით. სწორი იქნებოდა, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს შექმნა თავისი საუწყებო ლაბორატორია ჩვენს ინსტიტუტში.

დაბოლოს, „ბაზის ყინვამედეგობის საკითხი. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გვაქვს გადადგმული გარკვეული ნაბიჯი — ვქმნით ხელოვნური კლიმატის ლაბორატორიას, რომელიც, იმედი გვაქვს, მზად იქნება 1978 წლის მეორე კვარტალის ბოლოს. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს ამ ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნას ფიზიკის ინსტიტუტთან (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნუგზარ ბაქრაძის ხელმძღვანელობით) საუწყებათშორისო და აქედან გამომდინარე საინსტიტუტთაშორისო ხელოვნური კლიმატის ლაბორატორია. თუ ჩვენი წინადადება მიღებული იქნება, ყოველმა დაინტერესებულმა ორგანიზაციამ უნდა იკისროს კომპლექსური სამეცნიერო გეგმის ნაწილის შესრულება, აგრეთვე უზრუნველყოს გარკვეული მონაწილეობა დანადგარის ტექნიკურ მომსახურებაში.

შექმენი შენი მეთოდი

შექმენი საკუთარი მეთოდი და შეაბიჯებ დიდ მეცნიერებაში, — ამ სიტყვებით მიეგამთავრა ხოლმე ჩვენს მოწაფეებს.

საკუთარი მეთოდი, საკუთარი ხელსაწყო — ეს საკუთარი თვალებია, რომლებითაც მკვლევარი ხედავს ბევრად უკეთესად, ბევრად შორს და სწრაფად, ვიდრე სხვისი თვალებით, ე. ი სხვისი მეთოდებით.

და ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს ფიზიკური კვლევის მრავალი საკუთარი მეთოდი. მათ დაამუშავეს ახალი ტიპის რეაქტორსა, ეგრეთ წოდებული „ტტრ“-ის (თბილისის საბჭოთა რეაქტორის) პროექტი. მათ მსოფლიოში პირველებმა შექმნეს დანადგარი, რომელიც ნეიტრონების ენერგიას გამა-სხივების ენერგიად გარდაქმნის. ამ დანადგარს ახლა „ოდიციული კონტურს“ უწოდებენ. იგი საბჭოთა კავშირში გამა-გამოსხივების ერთ-ერთი უძლიერესი წყაროა—რომელიც 350 კილოკიური რადიომის ეკვივალენტურია.

პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა დაბალტემპერატურული ორბები რეაქტორის აქტიური ზონაში და ბიჭი შეგადარეული დანადგარი კონსტრუქციულ შენადნობებზე გამოსხივების, სიცივისა და მექანიკური დატვირთვის ერთდროული ზემოქმედების შესასწავლად.

შექმნილია: „სტრიმერული კამერა“ ზემაღალი ენერგიების ელემენტარული ნაწილაკების სარეგისტრაციოდ, რომელიც მუშაობს მსოფლიოს ყველა ამჩქარებელზე; ზემგრძნობიარე ხელსაწყო — მასკანირებელი დიფერენციალური მიკროკალორიმეტრი, რომელიც ბიოლოგიური მაკრომოლეკულების სითბური თვისებების შესასწავლად გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაში.

ქართველი ფიზიკოსების მიერ შექმნილი ეს ხელსაწყო, რომელმაც ფეხი აიდგა 1963 წელს, 1978 წლისათვისაც ჯერჯერობით ყველაზე მგრძნობიარე ხელსაწყოდ რჩება. ამიტომ იყენებენ მას ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

უკანასკნელ ხანებში დამუშავებულია ენერგიაწითელი ჰოლოგრაფიის მეთოდი, რომელიც აუცილებელია მძლავრი გაზური ლაზერული განმუხტვით მიღებული პლაზმის დიაგნოსტიკისათვის. აქტივაციურ დეტექტორებზე უკვე გვქონდა საუბარი.

სამამულო სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობაში დიდია ფიზიკის ინსტიტუტის წვლილი.

ასე დგება მეცნიერება ხალხის სამსახურში.

ელეფთერ ანდრონიკაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

ძიების ეფექტიანობა

ქართველ ფიზიკოსთა დიდი თეორიული და პრაქტიკული საძიებები

— მეცნიერის ტრიბუნა —

ჩვენი დრამის სულიერი სულისკვეთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს შოთა ნიშნიანიძეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ამ დღეებში კიდევ ერთი საპატიო ჯილდო — გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიენიჭა ლექსისათვის — „ძახილი“, რომელიც ადრე „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ქვემოთ ვბეჭდავთ კრიტიკოს ვ. ბაიაძის სტატიას შ. ნიშნიანიძის ახალი წიგნის — „გადასახედის“ გამო (გამომცემლობა „მერანი“, 1977 წ.),

ეპიტური სიდიდეების გასაზომად ხანდახან სპორტული ტერმინოლოგია პირდაპირ ზისხვრებაა, „ვითა ცხენსა შარა გრძელი...“ აკი შოთაც არძანა! ასე ფიქრობია, რომ თუ ჩვენს პოეტებს, სპორტის ანალოგიით, სიმღიერეთა აწევის მდგომარეობაში წარმოვიდგენთ, შოთა ნიშნიანიძე ამ ახალრეზობიდან მრავალგზის გამარჯვებით სახელმოვეკალი გამოვა.

ეფიქრობ, საწიდაღდეგო აური აოავის ექნება იმის თაობაზე, რომ შოთა ხიძნიანიძის სახელი აწერია ახალი პოეზიის არაეოთ ეზენაეს მონაპოვარს, უთვალსაჩინოეს მხატვრულ აღმოჩენას თუ სიახლეს. ეტყობა, ყოველივე ეს უთუოდ კარგად უნდა ჰქონდეს ეგრძნობილი პოეტს, არადა, თავის უახლეს დიდ კრებულს ასე არც დაასათაურებდა — „გადასახედი“ (გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი ლ. თურმანიძე). ამ მართლაც მაღალი გადასახედიდან ეპოქები ისვეტება, ძძაფრი სოციალური და ეროვნული ქარტეხილები ინაკვეთება, რომელთა ცენტრში ყოველთვის გახეზომელი ენერგიის, შეგნებისა და შეუვალი ნებისყოფის ადამიანები დგანან. დროთა სულისკვეთება მის ღონიერ, სისხლსავსე ლექსებში აღბეჭდილია კონკრეტულად ხელშესახები, კოლორიტული, იხდივიდუალური და ამავე დროს რომანტიკული ზეაწეული სახეებით, დეტალებით, ფერებით, ღაღი რიტმით.

შოთა ნიშნიანიძე მძაფრი ენებებისა და ფიცხელი შთაბეჭდილებების პოეტია. მისი ტემპერამენტი ხასიათით უკიროსაირდება უფერულ, უხდილ ყოველდღიურობას და ბუნებასა თუ საზოგადოებრივი ცხოვრება მდინარეობაში ნიადაგ ყველაზე მრავალსძეტყველ ოვლენებს ეძებს. შემოქმედება მისთვის მდუღარე, თაკარა სიცოცხლეა, აღსავსე რიტმით, მეტაფორული ფერადოვნებით, შინაგანი ჰარმონიით. მათი არაჩვეულებრივი სიუხვე აქა-იქ თვალს ჭრით კიდევაც და ვეხვეოდათ, რომ, ზედმეტი თაფლისა არ იყოს, იქნებ ხანდახან მოჭარბებული ძალის ერთგვარი მოთოკვა არ იყოს ურიგო.

გადაუჭარიებლად ვიტყვით: ძალიან ეხეთია ასეთი დაუძლეველი ემოციური პოეტის ბონახვა. ბაგრამ ბ. ნიშნიანიძის ლექსის ორგანიზაციაში აზრის ინტენსიური მოძრაობაც შეიმჩნევა — მეტადრე დაღვიეთის ხაიი სტროეფებში. ფიქრის, განზოგადების, შეგრძნებათა არსში ჩაღრმავების ნიიან-თვისებები პოეტური აღქმის პიროელქმნილ ეუეალობას უწვდის ხელს. და უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ მათი აუნებოიგი სინთეზიაადში შეგნებულ მისწრაფებაზე. პოეტური ხაფიქრნაგრძობის სეიოიზულობა, ოოწიფულობა და ღრმა ძნიშვნელობა ახლა უპირატესად ამით განიზომება. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ეერგო კო აოის დავიმოწმთ ხალაი ენებებისა და ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტის ყაისნინ ყულიევის სიტყვები: „ძახილოდ ემოციურისა და ინტელექტუალურის შენადნობი ბადებს ხელოვნების ნაწარმოებსა და იგი ერთნაირად წარმოუდგენელია როგორც ძძაფრი შეგრძნების, ისე მკვეთრი აზრის გარეშე“.

ყოველდღიურისა და მარადიულის შეთავსება, ისტორიზმის თვალთახედვით გამსჭვალვა ჭეშმარიტი პოეტის იდეალია ოდითგან, უფროოე ჩვენს დროში. შოთა ნიშნიანიძის ლექსებში დაუსრულებლად გაიელვებს ერთი შეხედვით პირდაპირ მოულოდნელი პარალელები, ანალოგიები, ასოციაციები, ბაგრამ პოეტის კეთილი და კომბინირების იდუალი უნარით ძალლტეხეული ტალანტი ამ უცნაურ ურთიერთკავშირში ბრძნულ ლოგიკას პოულობს. ასე ხვდებიან ერთმანეთს გაკროში, პაატა და ოლეგი, თეკდორე და ჩვენი საუკუნის გმირები. ეპოქების, გმირული სულის ადამიანთა ურთიერთგადაძახილი წარმავალში წარუვალის ძიების წარმატებით დაგვირგვინებული ცდაა.

წინ! იერიშზე გაიყოლიე,
რაც დაგიშვენებს სინდიხს,
დღევანდელობა და ისტორია,
სინამდვილე და მითი.
მიდი, მიუჯექ საწერ მაგიდას,
ფრთები შეასხი სურვილს,
გამოტანე ბარიკადიდან
რევოლუციის სული.
რახან ხალხს უნდა ლექსიც,
მუსიკაც
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიბარ,
ბარიკადაზე დგახარ!

აქაც პოეტმა ყველაზე ზუსტი, საჭირო და უტყუარი სიტყვები გამოძებნა იმ ძძაფრი სულიერი განწყობილების გამოსათქმელად, რაც განსაზღვრავს ჩვენი რესპუბლიკის ისტორიის უაღრესად პასუხსაგებ, საკვანძო პერიოდს, მისი ცხოვრების რევოლუციურად გამალებულ, განმაახლებელ მაჯისცემას. ეს, თუ გნებავთ, მაიაკოვსკის, გალაკტიონის ძალის ტოლფარდი სტრიქონებია.

უნიკალური პოეტი ის არის, ვინც ახლებურად განგვაცდევინებს, რასაც კი მისი ფიქრი, წარმოსახვა და ფანტაზია შეეხება... კომუნისტის სახე ჩვენს ლიტერატურაში, კერძოდ, პოეზიაში, თავისთავად ცხადია, ამომწურავი სისრულით თუ არა, ძალიან მკაფიოდ, რელიეფურად, უაღრესად სიმპათიურად არის გამოკვეთილი. მაგრამ პოეტს თავისი საკუთარი სათქმელი მოსვენებას არ აძლევდა, აუცილებლად ახლებურად უნდა შეეხედა კომუნისტის სულიერი, ზნეობრივი სახისათვის და ის შტრიხები შეენიშნა მის არსებასა და მოქმედების ნირში, რაზეც მანამდე არავის მიუქცევია ასეთი კონცენტრირებული, ამ მიმართულებით გამახვილებული ყურადღება.

ასე წარმოიქმნა გრძნობისა და აზრის ეს საოცარი შენადნობი — ლექსი „კომუნისტები“, რომელიც ნოვატორულია თავისი მასშტაბური გაზრებითაც და ძნელად მისაღწევი დიდი უბრალოებითაც (რასაც საერთო არაფერი აქვს ბანალურულ სიმარტივესთან). ავტორმა მიაგნო მკაცრად და სერიოზულ ტონს, ვრანდიოზული მოვლენებისა და პიროვნებათა ძერწვის ძალიან ბუნებრივ, უშუალო მანერას. და ლექსს ამავე დროს თავიდან ბოლომდე ამაღლებული განწყობილების ათინათი დაჰფენფინებს. დიდი შემოქმედებით გამბედაობა და იშვიათი მხატვრული ტაქტი აქ მიღწეულია ავტორის ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობების ბედნიერი შერწყმით.

გავიხსენთ მისი რამდენიმე ადგილი, როგორც ენიკალური ნიმუში პოეტის ორიგინალური მხატვრული აზროვნებისა, რომელიც ასე შორს დაეს ყოველგვარი პასიური ასახვისა თუ გამოხატვისაგან, უგრძნობელი რიტორისაგან:

რომ კომუნისტის სახელი
ვეერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სიხმლით, გმირული სიხმლით.

თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არი შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა
ნახევრად,
არამედ
მთელი ცხოვრებით.

პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი
წაგვაცარა
და ხალხს არგუნა სხვა
მომავალი;
სწორედ შენა ხარ, რომ
ვთქვათ სხვაგვარად,
მებრძოლი ღმერთის
შთამომავალი...

ვერ დაიცავდა მაღალ
ღირსებას,
მართალი რომ თქვას კაცმა, —
ვერ ივარგებდნენ
კომუნისტებად
ხერხეულიძე ცხრა ძმა?
ან არაგველნი, ან გმირი ცოტნე,
ანდა დემეტრე თავდადებული...
ცოდვა კი არის, ღმერთმანი,
**

ᲘᲛ ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲗᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲬᲘᲚᲘ

ᲛᲐᲜ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ ᲒᲐᲡᲢᲔᲚᲝᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲗᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ — ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲔᲚᲝᲛᲒᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ—ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲓᲘᲓᲘ და სახელოვანი გზა განვლეს სტალინგრადის მეათე გვარდიული წითელდროშოვანი მეორე ხარისხის სუვოროვის ორდენსანი ავიაგამანადგურებელი დივიზიის მეომრებმა.

მაღალი სამბრძოლო ოსტატობა გამოიჩინეს დივიზიის ავიაგამანადგურებელმა მფრინავებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა შიდაგენერალობამ მოსკოვის, სტალინგრადის, ორიოლ-კურსკის რაიონებში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებად ყუბანის, კიევის, ლვოვის, კრაკოვისა და პრაღის განთავისუფლებაში. და ყველგან ისინი გვიჩვენებდნენ ვოლკაცობისა და მამაცობის მაგალითებს. დივიზიის მფრინავთა ანგარიშზეა მრავალი ათასი საბრძოლო გაფრენა, 1062 ჯგუფური საჰაერო ბრძოლა, მტრის 1098 ჩამოგდებული თვითმფრინავი.

ომის წლებში დივიზიის ათმა მფრინავმა გამოიყენა ტარანი საჰაერო ბრძოლაში. დივიზიის 22 მფრინავი შეემატა საბჭოთა კავშირის გმირების მამაცურ კოჰორტს...

სტალინგრადისათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი დივიზიის შე13 ავიაგამანადგურებელი პოლკი შიდაგენერალ გამოცდილი მებრძოლებისაგან, რომელთა უმრავლესობას ჩამოგდებული ჰქონდა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი. მათი გმირობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

ამ პოლკის ავიაესკადრილიის მეთაური **ნიკოლოზ აბრამიშვილი** კეთილი და მხიარული, ძალზე გულადი მებრძოლი იყო. იგი, რომ ირყვანან, პირდაპირ მუსრს ავლებდა გერმანელ ავრესორებს.

...შვიდწლიან დამთავრების შემდეგ კომკავშირის ბორჯომის რაიკომის შუამდგომლობით ნიკოლოზს სასწავლებლად გზავნიან პუშკინის (მოსკოვის ოლქი) საპილოტო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ინსტრუქტორად მუშაობს დაბა ფაფოფში, ბორჯომის მახლობლად, და საპილოტო საქმის ასწავლის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მუშა ახალგაზრდობას. ნიკოლოზი ოცნებობდა ფრონტზე და ამ მისწრაფებამ ბიჯვანა ქალაქ ბორის ერთოკლებში, შემდეგ კი ერთ-ერთ საავიაციო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ უმცროსი ლეიტენანტის მხრებზე წოდებას იღებს და სამშობლოს ნაწილში იგზავნება.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ნიკოლოზ აბრამიშვილი საბრძოლო ნაწილებშია: ჯერ ჩრდილო-დასავლეთში, შემდეგ ცენტრალურ ფრონტზე. ამ დროისათვის მას უკვე ჩამოგდებული ჰქონდა მტრის ოთხი თვითმფრინავი. 1941 წლის 3 დეკემბერს ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ უფროსმა ლეიტენანტი ნ. აბრამიშვილი გამოცხადდა შე-13 ავიაგამანადგურებელ პოლკში. იგი ესკადრილიის მეთაურის მოადგილედ დანიშნეს. ლაგჩ-3 თვითმფრინავებზე წვრთნის შემდეგ პოლკი სტალინგრადის ფრონტზე წავიდა. დაიწყო ჯდამფყვეტი ბრძოლები სტალინგრადისათვის.

პოლკში მაშინვე გამოვლინდა ნიკოლოზის, როგორც მფრინავის დიდი ნიჭი და საბრძოლო ოსტატობა. მის ანგარიშზე უკვე რვა ჩამოგდებული თვითმფრინავი და ასზე მეტი საბრძოლო გაფრენაა. მამაცი მფრინავი მკერდი ორმა საბრძოლო ორდენი ფიფალი ორდენებმა დაამშვენა.

1942 წლის ნოემბრის დამლევს რიბინსკი რაიონში გამართულ გაადფრთებულ საჰაერო ბრძოლაში ნ. აბრამიშვილმა ორი „ფე-109“ თვითმფრინავი ჩამოადგა, მაგრამ თვითონ ფეტეში დაიჭრა. წარმოუდგენელად მძიმე ვითარებაში მან მაინც ოსტატურად დასვა თვითმფრინავი.

ექიმებმა მამაც მებრძოლს ფეხი მოაჭრეს. ჰოსპიტალში გაგზავნეს, მაგრამ ვერ ძლებდა უამბანაგებოდ, უაეროდროოდ. სულ იქ ტრიალებდა, ჯიხეზე დაყრდნობილი იცლებოდა და ხვდებოდა მეგობრებს, უდიდესი ინტერესით გამოჰკითხავდა ხოლმე საჰაერო ბრძოლის ამბებს, თამბილ, დამპყრობთა წინააღმდეგ უმძიმესი ბრძოლების მკაცრ დღეებში ნ. აბრამიშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში შედის. საფრონტო კაზეთი „სტალინე კრილია“ 1942 წლის 18 აგვისტოს წერდა:

„...სამამულო ომის გმირი უფროსი ლეიტენანტი ნ. აბრამიშვილი, რომელმაც მტრის ათი თვითმფრინავი ჩამოაგდო, განცხადებაში წერს: „...მინდა გავხდე კომუნისტური პარტიის წევრი და მოკსნა გერმანელი ქორები. არც ძალ-ღონეს, არც სიცოცხლეს არ დავიშურებ მტერთან ბრძოლაში ჰიტლერელებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის“.

1942 წლის 30 ნოემბერს ჩვენი ავიაგამანადგურებლების ჯგუფი ესკადრილიის მეთაურის ს. ქუკოვსკის ხელმძღვანელობით დასაზვერად გაფრინდა და „ფაშისტური თვითმფრინავების დიდ ჯგუფს წააწყდა. ეს ამბავი ნაშინვე გადასცეს ჩვენებს აეროდრომზე. ცაში ავრცა პოლკის ყველა თვითმფრინავი. მათ შორის იყო ნ. აბრამიშვილიც, რომელმაც დაარწმუნა ნაწილის მეთაური, რომ კანმრთელად არის და მიიღო ფრენის ნებართვა.

გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომლის გმირი გახდა ნიკოლოზი. იგი გაბედულად და სრულიად მოულოდნელად შეება მტერს — მოკლე დისტანციიდან უშენდა ცეცხლს და ზუსტად ურტყამდა მიზანში. მაგრამ აი მორიგი სწრაფი იერიში და ნიკოლოზის თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია. ესკადრილიის მეთაურმა მშვენივრად იცოდა, რომ ცეცხლმოდებული თვითმფრინავით შორს ვერ წახვალ: ხოლო მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე პარაშუტით გადმოხტომა სიკვდილს უდრიდა. ერთ წამში მიიღო გადაწყვეტილება: თუ სიკვდილია, გმირული სიკვდილი იყოს.. უკანასკნელად ავარდა მისი თვითმფრინავი ალმოდებულ ცაში, მერე შურდულივით დაეშვა ქვეყოო მტრის აეროდრომის რაიონში, სადაც თავმოყრილი იყო მტრის საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

ასე გაიმეორა ნიკოლოზ გასტელოს გმირობა და მამაცურად დაიღუპა ბრძოლის ველზე ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი რუსული ვოლგისპირა ქალაქის დაცვისას.

ავიაგამანადგურებელი პოლკის მფრინავებმა ფიცი დაიდეს, რომ დაუნდობლად იძიებდნენ შურს მტრზე საყვარელი მეგობრისა და თანამებრძოლისათვის.

სტალინგარდიდან პრაღამდე — ასეთია მე-13 ავიაგამანადგურებელი პოლკის საბრძოლო გზა. და სადაც უნდა ეომათ პოლკელებს, ყოველთვის დიდი მწუხარებით ივონებდნენ ესკადრილიის მეთაურის, მამაცი ავიაგამანადგურებელი მფრინავის �მირობას, რომელიც მოუსმობობა მათ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის.

ᲒᲐᲕᲘᲓᲐ წლები, ათწლეულები. ომისშემდგომმა ბედმა გაფანტა თანამებრძოლები ჩვენს თვალწინ ქვეყანაში. ბევრი მათგანი შრომითს ფრონტზე იღვწის, ზოგიერთი კი დამსახურებულ პენსიაზეა. მაგრამ სადაც უნდა ეხოვრობდნენ ომის ვეტერანები, რა საქმიანობასაც უნდა ეწეოდნენ ისინი, ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებენ თანამებრძოლ მეგობრებს, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. გმირთა ნათელ ხსოვნას პატივს სცემს ეროვნული თაობა, მთელი საბჭოთა ხალხი.

ამას მკაფიოდ დადასტურებენ ვეტერანთა ტრადიციული შეხვედრები. მოსკოვში, ვოლგოგრადში გამართულ დივიზიის ვეტერანთა შეხვედრებზე სასურველი და კეთილი სტუმრები არიან ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ცოლები, ნათესავები, შვილები და შვილიშვილები. მათ შორის ვხედავთ ნიკოლოზ აბრამიშვილის ძმებს — შოთას და გიგას. შოთა ბორჯომში ცხოვრობს, გიგა — მოსკოვში. ტრადიციულ შეხვედრაზე ჩამოდის ხოლმე ნიკოლოზის ძმისწული ნიკოლოზ შოთას ძე აბრამიშვილი, რომელიც თბილისში ცხოვრობს.

და ახლა, როცა ეთელი საბჭოთა ხალხი ჩონაწილეობს მოძრაობაში დივიზით „არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის“, დაბა ფაფაში, ამჟამად ახალი უბნის დასახლებით არის წოდებული, საპალანერო მინდორზე, სადაც ნიკოლოზ აბრამიშვილი საფრენოსნო საქმეს ასწავლიდა მუშა ახალგაზრდობას. ოპელისკის აღმართვა ღირსეული წვლილი იქნებოდა უშიშარი გმირის, მედგარი ავიაგამანადგუოებელი მფრინავის ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

Ლ. ᲠᲘᲮᲢᲔᲠᲛᲐᲜᲘ,
სტალინგრადის ყოფილი ეროვნული გვარდიული წითელდროშოვანი ავიაგამანადგურებელი დივიზიის მოსკოვის ვეტერანთა საბჭოს წევრი.

"ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მკითხველებმა იციან, როგ კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე მუშაობს თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ფილმზე. მასში აისახება ამ ბოლო დროს ჩვენში მომხდარი დიდი ძვრები, რომლებმაც არსებითად გაამაჯანსაღა რესპუბლიკაში ცხოვრების კლიმატი და მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობის რეალური გზები დასახა.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ რ. ჩხეიძე დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც დაიდო ხელშეკრულება, რომ წლის ბოლოდან იგი, როგორც დამდგმელი-რეჟისორი შეუდგება სსრ კავშირ-ესპანეთის პირველი ერთობლივი მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმის „დონ კიხოტის“ გადაღების მოსამზადებელ სამუშაოებს.

LJ

ᲡᲔᲠᲕᲐᲜᲢᲔᲡᲘᲡ ამ გენიალური ნაწარმოების პოპულარობა ყოველგვარ საზღვარს სცდება. მხატვრული ლიტერატურის ამ უბადლო შედევრს, ბუნებრივია, თავიდანვე დაეხარბა ხელოვნების დარგები, მათ შორის კინემატოგრაფიც — 1902 წლიდან დღემდე საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დანიაში, არგენტინაში, ესპანეთსა და საბჭოთა კავშირში სულ გადაიღეს 10 ფილმი სხვადასხვა დროის საუკეთესო მსახიობების (კ. შუტრიონი, თ. შალიაპინი, ლ. სანდრინი, ნ. ჩერკასოვი და სხვ.) მონაწილეობით.

და აი ამჯერად იწყება მუშაობა მეთერთმეტე ეკრანიზაციაზე. ლიტერატურული სცენარის ავტორი რ. ჩხეიძესთან ერთად არის ცნობილი მწერალი და ლიტერატორი ვიქტორ შკლოვსკი.

კითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც ქართულ კინოსა და კერძოდ, რ. ჩხეიძეს მიეცდო ამ ფილმის გადაღება, ვ. შკლოვსკი ამბობს:

— თანამედროვე ქართული საბჭოთა კინო, მისი ხასიათი, ძირითადი ტენდენციები ამის უტყუარი გარანტიას იძლევა, რომ ეკრანზე ღირსეულად გადავიტანოთ შინაარსით ეს უაღრესად ფილოსოფიური, მაგრამ ფორმით კომედიური რომანი. აქ ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო: ქართული სუფრის ზოგიერთი სადღეგრძელო არა მარტო რომანტიკულია, არამედ აღსავსეა იუმორით, და ჩვენც კონტრასტული ფერების ამ საოცარი შერწყმის იმედით უნარში, რომლითაც ასე გამოირჩევა ქართველი კაცი, ვეძებთ მომავალი გამარჯვების საფუძველს. ეს რომ სწორი გადაწყვეტილებაა, ეჭიდანაც ჩანს, რომ რ. ჩხეიძის შესანიშნავი გმირი — მახარაშვილიც თავისებური დონ კიხოტია თავისი მხურვალე, სამართლიანობისათვის ანთებული სულითა და ცხოვრებასა და ომზე ჯერ კიდევ მიამიტური, გულუბრყვილო წარმოდგენებით...

— ჩემი აზრით, — გვიამბობს **რ. ჩხეიძე.** — სერვანტესი მოერიდა თავისი დროის ინკვიზიტორებს. ამდენად, სრულიად შეგნებულად მიანიჭა ნაწარმოებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამხიარულო ფორმა, რომ თითქოს მთავარი გმირი სათავგადასავლო რომანების კითხვამ შეშალა ჭკუაზე და ამატომაც დაიწყო ბრძოლა ამქვეყნიურ მანკიერებათა წინააღმდეგ. სინამდვილეში კი, ცხადია, ეს იყო მხოლოდ ფორმა, რომლის თავისებურებებს ბრწყინვალედ ფლობს ავტორი.

მადრიდის ცენტრში დგას სერვანტესის უზარმაზარი მონუმენტი (აგებული 1835 წელს) — წინ როსინანტზე ამხედრებული დონ კიხოტისა და ვირზე საცოდავად გადამჯდარი, მისი განუყრელი მეგობარის სანჩო პანსას ფიგურებია. ძეგლის კვარცხლბეკზე ლათინურად წარწერილია: „მიგელ დე სერვანტესს, ესპანეთის პოეტსა და მეფეს“. აქედან იწყება სერვანტესის სამყარო, რომელიც სულ უფრო და უფრო გიზიდავთ და გიპყრობთ, რაც უფრო მეტად ეცნობით ქვეყანას.

მოვინახული სერვანტესის მშობლიური ქალაქი ალკალა. მიჩვეულს ცხელ კიევი და მედრანო, რომლის დილეგში ეგდო სერვანტესი, მრავალ ჭირვარამგამოვლილი, აფრიკაში მონად გაყიდული, ომში ცალხელაკარგული... ვნახე ის ფუნდუკი, რომელიც აღწერილი აქვს სერვანტესს და რომელშიც რაინდად ეკურთხა დონ კიხოტი. ბაყბაყ დევებივით დგანან ქარის წისქვილები, მწუხარე სახის რაინდი რომ რისხვად აწყდებოდა...

ვუცქერდი ყოველივე ამას და ვვრძნობდი, რომ ნამდვილ ადამიანურ ბედნიერებასთან ერთად დიდსა და რამდენადმე დაძაფიქრებელ პასუხისმგებლობას განვიცდიდი — ხუმრობა ხომ არ არის, კინემატოგრაფს ჯერ ერთი საუკუნეც კი არ შესრულებია და აქედან უკვე 75 წელია ამ თემაზე ზედიზედ გამოდის ფილმები. ერთი ამდენად ახალი ფილმი არსებობს აქვე, ესპანეთში გადაღებული, რომ ჯერ ფართო მაყურებელს არც უნახავს.

— თქვენ თუ ნახეთ ეს ფილმი და რა აზრისა ხართ?

— ამ ფილმმაც და 1956 წელს ესპანეთში გადაღებულმა ფილმმა, რომელსაც ჩვენი მაყურებელი არ იცნობს, ჩემში უკმაოსობის გრძნობა დატოვა. საერთოდ, ესპანელებს მიაჩნიათ, რომ ჯერჯერობით არსებულ ფილმებს შორის საუკეთესოა გრ. კოზინცევის ფილმი, რომელსაც იქ თვით ფრანკოს უმაცარესი რეჟიმის დროსაც დიდი წარმატება ჰქონდა. სწორედ მაშინ, როცა, როგორც ცნობილია, ესპანეთში არც ერთ საბჭოთა ფილმს არ უჩვენებდნენ.

— თქვენც ფიქრობთ, რომ გრ. კოზინცევის ფილმი საუკეთესოა ჯერჯერობით არსებულ ეკრანიზაციებს შორის?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ თუ გულწრფელად ვიტყვი, მას ერთი რამ აკლია — იუმორი, ერომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია „დონ კიხოტის“ ნამდვილი ეკრანისეული სიცოცხლე.

— რაკი ესპანეთზეა საუბარი, ეგებ უპრიანი იყოს ახლი შეკითხვაც: ხომ არ შეიქმნა რაიმე პერსპექტივა იმისა, რომ გადავიღოთ ერთობლივი ფილმი ბასკებისა და ქართველების „ისტორიულ ურთიერთობაზე“?

— ამის შესახებაც რეალური პერსპექტივა გამოჩნდა მადრიდში. ოპერატორ ანტონიო ალვარესს აქვს ფირმა, რომელიც დოკუმენტურსა და სარეკლამო ფილმებს უშვებს. უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ანტონიო დიდი ხნის მეგობრები ვართ, ერთად ვსწავლობდით მოსკოვში, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში. იგი ესპანელ ბავშვთა იმ ცნობილ ნაკადს ჩამოყვა საბჭოთა კავშირში, რომელიც 1937 წელს გამოამგზავრეს ესპანელმა მეგობრებმა სამოქალაქო ომის დაწყების გამო. ანტონიო ალვარესი თვითონ არის დაინტერესებული ქართულ-ბასკური ნათესაობის ჰიპოთეზით და ჩვენი საუბრის შემდეგ მან შემოგვთავაზა შეგვექმნა ერთობლივი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ბასკებზე... ასეთივე მეგობრობა მაკავშირებს მხატვარ რობერტო მარკანოსთან, რომელიც ანტონიოსთან ერთად მუშაობს, სხვათა შორის, რ. მარკანო კინოინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ორი წელი მუშაობდა მხატვრად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პულტიპლიკაციურ საამქროში. ასე რომ, ორივეს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი და ამატომაც მათ გულწრფელად მიაჩნიათ საბჭოთა კავშირი თავიანთ მეორე სამშობლოდ.

„კომუნისტის“ მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ზოგიერთი ფაქტობრივ-დოკუმენტური მონაცემი, შემოქმედი კოლექტივის შემადგენლობა, ფილმის გადაღება-ჩაბარების ვადა, მსახიობთა ანსამბლი და ა. შ.

ამ მხრივ ყველაზე უტყუარი წყაროა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მადრიდში 1977 წლის 6 დეკემბერს სსრ კავშირის ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტსა და ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიას შორის.

დოკუმენტით ირკვევა შემდეგი: მიღებულია მომავალი ფილმის ლიტერატურული სცენარი (ავტორები ვ. შკლოვსკი და რ. ჩხეიძე), ფილმი იქნება 7 სერიანი, ფერადი. გადაღების მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგებიან 1978 წლის ბოლოს, დამდგმელი რეჟისორია რ. ჩხეიძე, ფილმის კომპოზიტორს, მხატვრებს და კინსულტანტს გამოყოფს ესპანეთის ტელევიზია, ფილმს გადაიღებენ ორივე ქვეყანაში.

— რას იტყვით შემოქმედებითი კოლექტივის სხვა წევრებზე და კერძოდ, მსახიობებზე?

— ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კანდიდატურა შემიძლია დავასახელო, კერძოდ, ფილმს გადაიღებს ჩვენი ნიჭიერი ოპერატორი ლონერ ახალეფიანი. განსაკუთრებით ძნელი იქნება ალბათ მთავარი როლების შემსრულებელთა შერჩევა, აქ ორივე მხარის ისეთი შეთანხმებაა საჭირო, რომელიც ოღტის ოღენა ექვს ან ყოყმანს არ გამოიწვევს. ასე რომ, წინ დიდი შემოქმედებითი ძიება მოგველის, ვნახოთ, ვისზე შეჩერდება საბოლოო არჩევანი.

ყოველთვის, როცა ახალ ფილმს ან, ჩემი აზრით, რაიმე მნიშვნელოვან საქმეს შეუდგები ხოლმე, სულ ზარივით ჩამესმის დონ კიხოტის ბრძოლული შეგონება: „ადამიანი სისხლს მემკვიდრეობით იღებს, სათნოება კი მან უნდა მოიხვეჭოს და ეს გაცილებით უფრო ძვირფასია“. მწამს, რომ სანჩოსაღმი მიმართულ ამ სიტყვებში ეაღრესი ლაკონიურობითა და სიბრძნით არის განსაზღვრული ადამიანის მოწოდება, მისი ცხოვრების მიზანი. შრომასა და ენერგიას არ დავიშურებ, რათა მომავალ ფილმში გადმოვცეთ სერვანტესის რომანის ძირითადი აზრი, რომ „ადამიანის ეშმაკობა ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულება კი არ არის, არამედ მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილება“.

ᲩᲕᲔᲜ გვჯერა შესანიშნავი ქართული ფილმის „ჯარისკაცის მამის“ ავტორის სწორედ კეთილშობილური მისწრაფებანი და ამატომაც ოპტიმისტურად ვართ განწყობილი მისი ყოველი ახალი ფილმის მიმართ.

Გ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: დონ კიხოტისა და სანჩოს ძეგლი ქ. მადრიდის ცენტრალურ მოედანზე.

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ

ᲮᲛᲐᲚᲡ ᲓᲐᲕᲔᲫᲔᲑᲐᲕᲗᲝᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲚᲘ!

ᲐᲡᲔ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲖᲣᲠᲘ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ, რომელიც ამ დღეებში „ხელოვნებამ“ გამოსცა. წიგნი იხსნება ნოდარ დუმბაძის წინასიტყვაობით — „ᲐᲥᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲪᲘᲜᲘ“. და, მართლაც, რა გულიანად, რა მადლიანად, რა გამაზნულად და დროულად იცინის ავტორი! ᲩᲕᲔᲛᲝᲗ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲛᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲝᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ — „ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲧᲘᲜᲘ“.

ᲛᲚᲘᲕᲜᲔᲚᲛᲐ: „მიჭელ-გაბრიელ საიქიოვიან, დირექტორს შეეფიცე, შენთვის მოკვდები-მეთქი და ახლა ჩემთვის რომ მოკვდე, ხომ მომკლავს?!“.

ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘᲜᲘᲡᲗᲐᲜ: „ისე ეკვდები, სახელიც აწერ მრჩება!“.

ᲑᲐᲜᲓᲘᲓᲘᲡᲗᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲘᲗ ᲨᲔᲯᲐᲠᲝᲑᲘᲚᲘᲗ: „კი, ბატონო, სიამოვნებით მოვკვდები, მაგრამ უკვდავი რომ ვარ, რა ქენა?!“.

ᲛᲔᲥᲠᲗᲐᲛᲔᲛ: „სული რად გინდა, უფალო, ფული წაიღე!“.

ᲚᲝᲠᲗᲛᲐ: „სანამ სულს დაგლეკდე, ერთი ჭიქა არაყი დამალევინეთ!“.

ᲙᲔᲡᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ: „სიბნელე, მეტი სიბნელე!“.

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡᲗᲐᲜ: „დასაფლავებამდე, ცოტა ხნით, ჩემი უფროსის კაბინეტში დამასვენეთ!“.

ᲥᲝᲠᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ: „ჯერ თაღის ფასში არაფერი გამიყიდია და შენ სული გინდა უფასოდ წაიღო?“.

ᲡᲐᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲔᲛ: „ყველა დანაკლისი ჩემს კისერზე გადადიოდა, ჩემს დანაკლისს კი ნამდვილად ვერ გადაიტანს ჩემი ბუღალტერი!“.

ᲮᲔᲚᲘᲒᲐᲜᲐᲛᲐ: „აქ არავის ვუნდიავარ და აქ რად გინდიავარ, ღმერთო!“.



ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ —

ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲯᲝᲙᲔᲘ. შვეიცარიის ქალაქ ტროლეიტაბში სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი მოიგო ამ ქვეყნის გუნდს ანგარიშით 5:3.

ᲡᲠᲘᲚᲐ. მინსკში ბელორუსიის თასის გათამაშებაში „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲐ ᲢᲐᲡᲘᲡ“ სამოზნეზე ტკივის სროლაში მინსკელმა ა. გაზოვმა 585 ქულა დააგროვა, მისმა თანაგუნდელმა ა. კიდიაროვმა კი — 582 ქულა. ეს ორივე შედეგი ალემატება მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს. მსოფლიო რეკორდის მაჩვენებელი (598 ქულა) გაიმეორა მინსკელმა ვ. ტორშინმა ფიგურულ სანიზეზეზე პისტოლეტით ჩქარსროსნულ სროლაში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ ზამთრის არასახელმძღვანელო დეგების პერიოდში „ᲖᲔᲜᲘᲗᲘᲡ“ დახურულ მანეჟში გაიმართა ექვსი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, ბელორუსიის, ლატვიის და ქ. ლენინგრადის მოსწავლე ფეხბურთელთა (1961-1962 წლებში დაბადებულნი) ნაკრები გუნდები.

კარგად იასპარეზეს საქართველოს ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲐ (მწვრთნელები გ. მუმლაძე, თ. კუბლაშვილი და თ. მელაშვილი), დაამარცხეს ლატვიის — (1:0), ლენინგრადის — (2:0), და ბელორუსიის — (3:0) გუნდები და ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲙᲝᲠᲗᲔᲡ. მეორე ადგილზე მასპინძლები გამოვიდნენ, ხოლო მესამეზე — ლატვიელი ფეხბურთელები.

ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა გოჩა ალადაშვილს. საუკეთესო თავდამსხმელისა — გრიგოლ ცავას.

ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ მკითხველები ხშირად მოგვმართავენ კითხვით, თუ რა ღირსებები უნდა გააჩნდეს ამოცანას, რათა მან ინახავლზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვოს. ამ კითხვაზე ცალსახა ძნელიც არის და ამავე დროს ადვილიც! ძნელია იმიტომ, რომ შთაბეჭდილების ეფექტი ყოველ პიროვნებაზე განსხვავებულად მოქმედებს და უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ამ პიროვნების, ე. წ. საკომპეტენციო განათლების „დონეზე“, მის საჭადრაკო გემოვნებაზე. ადვილი კი იმიტომ არის, რომ არსებობს საამოცანო ხელოვნების თეორიის მიერ გამომუშავებული რამდენიმე ზოგადფილოსოფიური ნორმა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოვლინდეს ამოცანის ესა თუ ის ღირსება.



მივმართავთ „მერნის“ ყოველწლიურ ტრადიციულ რუბრიკას „ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ“ და ამოსახსნელად გთავაზობთ XIX საუკუნის გამოჩენილი პრობლემისტის შ. ლეტპინს სამსვლიან ამოცანას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უკვალოდ არ დაკარგულა „კომპოზიციის ზღვაში“. მას დღესაც შენარჩუნებული აქვს ამოხსნის სიძნელე (რასაკვირველია, შედარებითი) და სილამაზე.

ნაწარმოების ეს ორი ღირსება შემთხვევით არ დაგვისახელებია. თვით ამ ამოცანის ავტორიც სწორედ ამ კომპონენტებს თვლიდა კომპოზიციის ღირსებად. 1878 წელს გამოცემულ თავის კრებულში იგი წერდა: „კომბინაციის ფასი ჯანმრთელობულია, ერთი მხრივ, მისი სიძნელით, ხოლო, მეორე მხრივ, სილამაზით“.

მოგვწერეთ, გაგიძნელდათ თუ არა ამოხსნა და რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ ამოცანამ. ველით თქვენს პასუხს, ძვირფასო მეგობრებო!

Ვ. ᲜᲔᲘᲫᲔ.

„ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ“

ᲒᲐᲒᲐᲪᲜᲝᲗ 14 იანვარს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 1978 წლის მეორე ტირაჟის შედეგებს.

პირველი ტირაჟი: 10 (ფრენბურთი), 11 (ტანვარჯიში), 15 (ძიუდო), 33 (ფიგურული ციგურაობა), 35 (ბალახის ჰოკეი).

მეორე ტირაჟი: 3 (ბოქსელი), 8 (ველო — გზატკეცილი), 10 (ფრენბურთი), 19 (სათხილამურო რბოლა), 20 (თხილამურები — ტრამპლინი). (საჯდესი).

ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 11 იანვარს გამართული მე-2 ტირაჟის შედეგები.

„ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, თითოეულს ხვდა მოგება 5.000 მანეთი, ვინც ოთხი ნომერი 93 მანეთი, ვინც სამი ნომერი — 4 მანეთი.

„ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ-2“: ექვსი ნომერი იგივეთვე ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო ხვდა მოგება 2.522 მანეთი, ვინც ოთხი ნომერი 54 მანეთი, ვინც სამი ნომერი — 4 მანეთი.

მეორე ტირაჟის მოგებათა თანხა გაიცემა 22 იანვრიდან 22 თებერვლის ჩათვლით. (საჯდესი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲘᲭᲘᲐ



გარდაიც